ფასი 3 მან.

მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაძებრალთა კავშირის ორგანო

კვირა 4 აპრელი,

№ 4 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139, ფული უნდა გამოიგზავნოს: ოსთავეოლის პროსპექტი სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხ., **პლ. ლეუავას.**

წელ. 2. გაზეთი გამოდგა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! გახსოვდეთ, რომ **„ახალი ნაკადი“** თქვენი ინტერესების დამცველია. გაიღეთ წელილი გაზეთის ფონდისათვის და გამოგზავნეთ წერილები. **ამხანაგებო!**

შეკავშირებისაკენ. აფორიაქებული ცხოვრება კალაპოტში ველარ ჩადის, პირქუთ ახალი მოვლენები უფრო ართულებენ ისედაც ძალზე გართულებულ მდგომარეობას, კაცობრიობა ღელავს ბობოქრობს, მრავლდება სარჩო-საბადებელი, იღვრება სისხლი, სდის ცრემლთა ზღვა და ყოველივე ამას თითქოს დასასრული არ უჩანს. როგორც ყოველთვის, ეხლაც ამოტივტივდენ ცხოვრების ზედაპირზე მრავალი სინდისგარეცხილი სპეკულიანტი და კომივოაჟერი და დემონისებური სულიერი სიმშვიდით აგებენ ლითონის სასახლეებს გაძვალტყავებულ და შიმშილისაგან წელში მოხრილ ადამიანების უბედურებაზე.

პოლიტიკური კომივოაჟერები კი შორეულ ამერიკიდან, იაპონიიდან და ინგლისიდან დაწყებული დანავარდობენ ცხოვრების თანამედროვე ვულკანისებურ ზედაპირზე და უნამუსოდ ვაჭრობენ სხვა და სხვა ხალხის ბედით. დიდმა სოფლიო ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია მსოფლიო, დიდმა გამათავისუფლებელმა რევოლიუციამ თითქოს ანაზღად გაუნათა წამებულ კაცობრიობას ცხოვრების საკენელი გზა, მაგრამ ბნელეთის მოციქულები ხან იარაღით, ხან გაიძვერა სიტყვითა და დიპლომატობით ხელ-ფეხს უბორკავენ დიდ თავისუფლებას. ისინი კი, ვინც ვითომდა „გონიერების“ საცოდავ რკალში მომწყვდეულან დალამობენ კიდეც უვნებლად გაატარონ თვისი ნავი სცილასა და ხარიბდას შუა.

ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ფონი ერთ ადგილას ახრჩობს... რომ ასეთი გზით მათ შეუძლიათ დროებით ერთი ან ორი წარმატება მოიპოოს, მაგრამ საბოლოდ გამარჯვება სწორედ ამ ბნელეთის ძალების სრულ დამარცხებაშია. ხოლო სანამ ეს ძალები იარსებებენ, სიმართლისა და სამართლიანობის ზეიმზე ლაპარაკიც კი ფუჭია. ერთი სიტყვით, ყველა უხდა გრძნობდეს, რომ ასეთ პირობებში კაცობრიობას აღარ შეუძლია არსებობა. ორში ერთი, ან კვლავ მიენიჭება გამარჯვება ძველ დახავსებულ ბურჟუაზიულ ქვეყანას და მაშინ კვლავ გაგრძელდება საზიზღარი მონობა ადამიანთა შრომისა, ან მოხდება მისი სასიკვდილოდ შემუსვრა, რომ თავისუფლების ცხოველმყოფელი მზე თანასწორად ანათებდეს ყველას სიცოცხლეს და მისი სხივებიც თანაბრად ეფინებოდეს ქვეყანას. ბრძოლა დაწყებულია და ახლო მომავალი გვიჩვენებს, რით დასრულდება იგი. მაგრამ მუშათა კლასს, რომელსაც ბედმა არგუნა უდიდესი მისია, ახსნას შრომა ტყვეობისაგან და ქაჯეთის ციხე-კოშკი მიწასთან გაასწოროს, ამ ჭიდილის უბრალო მეთვალყურობა არ შეუძლია. თუ დღემდის მის ენერგიას უთავბოლოდ და დაუზოგველად ხარჯავდენ პოლიტიკური პარტიები, დღეს მუშათა კლასი თანდათან ითავისუფლებს თავს ასეთ „ოპეკუნობისაგან“ და საკუთარი დამოუკიდებელი გზით მიისწრაფვის უდიდეს სამართლიანობის ქვეყნისაკენ. და ეს მოვლენაა, რომ გულში იმედს გვინერგავს და საბრძოლველად მოგვიხმობს.

თუ მეშჩანურ-ბურჟუაზიულ წრეები, სოციალისტურ სამოსელში გახვეულნი, დღეს გავლენას ჰკარგავენ, მით უფრო მტკიცდება შეგნება მუშათა კლასის მოძრაობის სწორი მიმართულებისა. მუშათა კლასი დღეს თვისი მარჯვენით ამზადებს ქვეყნის სიმდიდრეს, რომლითაც უმთავრესად პარაზიტები სარგებლობენ, იგივე მუშათა კლასი თვისი მარჯვენით გამოსჭედს იმ თავისუფალი ქვეყნის სასახლეს, სადაც ყველა თანასწორად ტეწაფება სიცოცხლეს და ბედნიერებას. და თუ ეს ასეა, მთელს ქვეყანაზე, კიდით კიდემდე უნდა გაისმიოდეს დიადი მოწოდება: ამხანაგო მუშებო, შეკავშირდეთ, დავირაზმოთ, განვიმსჭვალოთ უაღრესი შეგნებით და მთლიანი, დაუძლეველი ფრონტით იერიში მივიტანოთ ბურჟუაზიული ქვეყნის დასამხობად.

ცოტა რამ სინდიკალიზმის შესახებ.

სინდიკალიზმით იწყება ახალი ხანა მუშათა მოძრაობაში. ის იმ მომენტს აღნიშნავს, როცა მუშათა კლასმა დაკარგა ყოველგვარი რწმენა სახელმწიფოსა და მის გარეშე მდგარ სოციალ პოლიტიკურ პარტიებისადმი, და შეიგნო რომ მისი არა თუ საბოლოო იდეალის, არამედ წვრილი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს საკუთარი პოტენციალური ენერგიის საშვალებით და რომ ყველა სხვა გზით ცდა ყოველთვის დამარცხებით თავდებოდა და გათავდება მისთვის. სინდიკალიზმი პროლეტარიატისთვის არავის თავზე არ მოუხვევია, ის რომელიმე კაბინეტში მოაზროვნეს დოკტრინა კი არ არის, არამედ თვით მუშათა მასსიდან ამოხეთქილი ინსტიკტია, მისი აუცილებელი ტენდენციაა.

როდესაც I დიდმა ინტერნაციონალმა ჟენევის კონგრესზედ 1864 წ. წამოისროლა ლოზუნგი რომ „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა“-ო ამან ერთგვარად შესცვალა მუშათა აზროვნება რომელიც იმ დროს ეს კიდევ ს.-დემოკრატიასთან ერთათ გატაცებულნი იყვნენ 48 წ. ბურჟუაზიული დემოკრატიზმით. ბაკუნინის იდეებმა ამას საძირკველი გამოუთხარეს, და მუშათა ფართო წრეებში ღრმად გაიდგეს ფესვები. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე „იურის ფედერაცია“ ბაკუნინის მიერ დაარსებული, და ყველა ამათი აგიტაციის წყალობით, მიუხედავათ იმ დევნისა, რომელსაც ისინი განიცდიდენ ს.-დემოკრატიისა და ბურჟუაზიული მთავრობის ბლოკით, მუშათა კლასი თანდათან ერკვეოდა და საკუთარ ფიზიონომიას. ღებულობდა.

და როდესაც 1872 წ. პაგის კონგრესზედ I ინტერნაციონალი მარქსისთა ცალმხრივობით და ორ შეურიგებელ ტენდენციის წყალობით, რამაც იჩინა შიგ თავი, დაიშალა, ს.-დემოკრატიის მხრით დარჩენ წვრილი რადიკალური ბურჟუები და მეშჩანურათ მოაზროვნე მუშები, ხოლო შეგნებული მუშები თავის მხრივ ჩამოყალიბდენ შრომათა მწყობრ დამოუკიდებელ ორგანიზაციებში, რომლის ქსელები გამბულია უმეტესად ლათინთა ქვეყნებში.

სოც.-დემოკრატია კი ამდროს და დღესაც ეწინააღმდეგებოდა მუშათა ინტერესებს ვინაიდან ის არ იყო წმინდა კლასიური პარტია, არამედ შიგ გარეული იყო სხვა და სხვა ჯურის ელემენტები, რომელნიც იქითკენ მიმართავდენ პარტიის იდეალს საითკენაც მოესურვებოდათ და არავითარ ანგარიშს არ უწევდენ პარტიის საერთო მსოფლ მხედველობას. ამან გამოიწვია ერთის მხრივ გასვლა ამ პარტიიდან ისეთი პირებისა. რომელთაც მართლა გული შესტკივოდათ მუშათა კლასზე, საკმარისია გავიხსენოთ ლაგარდელი, პოსსე, ლაბრიოლა, ანარქო სოციალისტური პარტია გერმანიაში ფრადბერგის მეთაურობით. ხოლო მეორეს მხრივ დანარჩენი ნაწილი ამ პარტიისა სავსებით ჩაიხჩო ოპორტიუნიზმის რუტინის მორევში. და „კანონიერება“ აღიარა 1876 თანახმად რეზოლიუციისა, პარტიამ აღიარა თანამედროვე „კანონი“ როგორც საშვალება პროგრამის განხორციელებისა რევოლიუციონურ პარტიის მაგივრად გადაიქცა პარტიათ „კანონისა“ pollti bu l'ozre.

მათვის ძალა უკვე რეაქციონურ ფაქტიურად გადაიქცა და სიზლით და დაცინვით იხსენებენ 71 წ. კომუნარებს, რადგან ბარიკატებზე ბრძოლა ეს ბურჟუების საქმე არ ისო (ბებელი ერფურტის კონგრესზედ 1896 წ., ილფერდინგი და სხ.).

და ასეთი ბედი ყველა იმ პოლიტიკურ პარტიისა, რომელსაც თვისი სამოქმედო გეგმა დაყოფილი აქვს მინიმუმებათ და მაქსიმუმებათ. მინიმუმი, მთელის ნაწილებათ დამოუკიდებელ მომენტებათ დაყოფას გულისხმობს და საბოლოო მიზანს უძრავ მოვლენათ მიჩნევას. მთელი ენერგია პარტიისა იხარჯვის ამ „საღღეისო“ პროგრამის მოსაპოვებლად, ხოლო ეს უკანასკნელი აგრეთვე მინიმუმებათ და მაქსიმუმებათ იყოფა და ასე თანდათან შორდება საბოლოო მიზანს.

ამის გამოისობით პარტიის შემადგენლობა აჭრელებული ხდება სხვა და სხვა ელემენტებით, რომელნიც მანამდე აფარებენ პარტიას თავს, სანამ ეს უკანასკნელი მინიმუმის ერთ ერთ მუხლისთვის იბრძვის ხოლო პარტიის მსოფლ-მხედველობაზე კი შესაფერ გავლენას ახდენენ. ეს ნათლათ დამტკიცდა ერფურტის კონგრესზედ როცა გამოირკვა რომ ფოლმარის და მემარჯვენე ფრთის აზრს, მთელი პარტია იზიარებდა.

და როდესაც ასეთ ატმოსფერაში ვითარდებოდა მუშათა კლასი, მოსალოდნელი იყო საბოლოოთ, რომ მისი შეგნებული ნაწილი სულ თუ არა, საჭიროდ დიინახავდა საკუთარ დამოუკიდებელ მთლიან რევოლიუციონურ ორგანიზაციის დაარსებას ეს ასეც მოხდა.

1886 წ. ფერდინანდ პელიუტიეს თაოსნობით საფრანგეთში სენტ-ეტიენის კონგრესზედ დარსებულ იქნა შრომის ბირეები (lozqe lu valaile).

ხოლო 1902 წ. მონჰელიეს კონგრესზედ ეს უკანასკნელი ორგანიზაცია და სინდიკატთა ფედერაცია შეერთდენ ერთ მძლავრ ორგანიზაციაში „შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით (uhfe'deration du travaile). და თუ რა ძალას წარმოადგენს ეს უკანასკნელი ეს დამტკიცდა 1902 წ., როცა მთელი ბურჟუაზიული ევროპა-შიშის ზარმა მოიცვა, რადგან ამ წლის 1 მაის კონფედერაციამ, მოიწადინა საყოველთაო გაფიცვის მოხდენა, რომელიც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ამ კონგრესზედ და ყველა დანარჩენებზე, სინდიკატთა ორგანიზაციებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლითაც ისინი პარლამენტარიზმს დაკანონმდებლობას კიცხავენ და ადგენენ სრულიად გამოყოფას პოლიტიკურ პარტიებიდან.

ასეთია მოკლეთ ამ მოძრაობის წარმოშობის ისტორია, ჩვენ განვიხილეთ რომ მის გამძლავრებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ I ინტერნაციონალმა და მეორეს მხრივ რევოლიუციამ რომელიც განიცადეს პოლიტიკურ „სოციალისტურ“ პარტიებმა.

თეორია სინდიკალიზმისა ემთავრესად საყოველთაო გაფიცვას და პირდაპირ მოქმედებას action diveite გულის ხმობს.

პირდაპირი მოქმედება, პირდაპირი უარყოფაა კლასთა თანამშრომლობისა და პარლამენტარიზმისა. ვინაიდან პროლეტარიატს როგორც დამოუკიდებელ ერთეულს აქვს საკუთარი ინტერესები, რომელნიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მოწინააღმდეგე კლასის ინტერესებს ამისთვის, მათი შეერთება, შერგებაა შეურიგებლობისა განეულება კლასთა ანტაგონიზმისა. ეს სოციალ-რეფორმისტებს, პოლიტიკან რუტინერებს სჩვევიათ, ხოლო პროლეტარიატი ამ გზას ვერ დაადგება. მას მხოლოდ ერთი გზა აქვს ეს გზაა დანგრევა დამხობისა ბურჟუაზიული საკუთრების და პირადობის და არა მათი შენარჩუნება. და ამ დროს ის ვერ დაეყრდნობა ვერც ერთ უცხო ელემენტს, მას მხოლოდ თვისი იმედი უნდა ქონდეს, რომლითაც სავსეა პოლიტიკური პარტია მისი დამხმარე მისი რევოლიუციონური ენერგიაა, ის მხოლოდ ამის საშვალებით ეცდება მოსპოს კლასთა წინააღმდეგობანი და ამიტომ ჩვენ რ.-სინდიკალისტები ვართ სოციალისტ ტრანსფორმისტები, ჩვენ კარგათ ვიცით რომ პრივილიგიური კლასები ასე ადვილათ ვერ დასთმობენ თავიანთ პრეროგატივებს ეს უნდა იყვეს შედეგი მხოლოდ ხანგრძლივი თავდასხმისა რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს და რადგან რევოლიუცია იგივე ევოლიუციაა მხოლოთ შემოკლებითი (напраженная) ამიტომ ამის საზღვრის დადება ყოვლათ მიუღებელია. საყოველთაო გაფიცვა ეს ხერხია იარაღია რომლის საშვალებით უნდა იბრძოლოს პროლეტარიატმა იგი შეიძლება მარცხითაც გათავდეს ზოგჯერ, მაგრამ მეტი სარგებლობა მოაქვს პროლეტარიატისთვის რასაკვირველია, და არა პოლიტიკანებისთვის, მით რომ ავარჯიშებს, წვრთნის მას, აჩვენებს შეერთებულათ გამოსვლებს და ამით სოლიდარობა შეაქვს მუშათა კლასში.

რადგან დღევანდელი კაპიტალისტური წარმოების დროს საწარმოო დარგები ისეა ურთიერთ შორის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახლართული, რომ საკმაო დეზორგანიზაციაშეიტანო რომელიმე დარგში, რომ ამით მთელი ინდუსტრიაში დეზორგანიზაცია მოხდეს. ამისთვის საჭიროა, რომ ყველა მუშები დაირაზმოს მწარმოებელთა დარგებში სინდიკატებში, გაიბას მჭიდრო კავშირი სოფლისა და ქალაქის მუშებს შორის, რომ ყოველთვის მზათ იყვნენ რევოლიუციისათვის. საყოველთაო გაფიცვით უნდა დაიწყოს სოც.-რევოლიუცია და მითივე უნდა დასრულდეს.

რომ პარლამენტსა და კანონმდებლობას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მუშათა კლასისთვის, ამას ამტკიცებს საფრანგეთის, ინგლისის და სხ. ქვეყნებში მთელი რიგი მუშათა მოძრაობისა, სადაც არც ერთი რეფორმა, რომელიც აუმჯობესებდა მუშათა მდგომარეობას, არ მომხდარა მოპოვებული პარლამენტის საშვალებით, არამედ თვით მუშები შეიარაღებული გამოსვლებით გლიჯავდენ მას პარლამენტს, და ის მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტს აკანონებდა.*)

და ჩვენ საქართველოს სინდიკალისტები დიდს იმედს ვამყარებთ ქართველ მუშათა კლასს, და ვიმედოვნებთ რომ არ გაყვება იმ შეცდომებს რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩაიდინა მუშათა კლასმა, სანამ ის სინდიკალიზმის აღიარებამდე მივიდოდა.

ახალგაზრდა სინდიკალისტი.

*) ამას ადასტურებს თვით მშვიდობიან სოციალისტის პოლლოუის წიგნი „მუშა სახელმწიფოს წინაშე.“

გალაქტიონ ტაბიძის საღამოს გამო.

აპრილის 7 სახელმწიფო თეატრში კიდევ იმართება საღამო ჩვენი მგოსნის გ. ტაბიძისა ჩვენ, რასაკვირველია ბევრს ვერაფერს ვიტყვით გალაქტიონის პოეზიაზე, განსაკუთრებითი ამ წერილში. მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც გვინდა ხაზი გაუსვათ მის შემოქმედების ზოგიერთ თვისებებს. გალაქტიონს უმთავრესად თავისებურობა ახასიათებს პოეზიაში და ეს გარემოება უეჭველია დადებითი მხარეა მისი შემოქმედებისა. საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაქტიონმა თავისი წვლილი შეიტანა.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ გალაქტიონი მიმართულებით სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლიურად გვიხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაქტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე“ როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყოფელი ნაწილი. გალაქტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხალულ ქვეყნის ანარეკლია, იგი ყოველთვის საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს, და აქ არის გალაქტიონის გამართლება; მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილება. გალაქტიონმა ნახა თავის სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ გავანებოთ „ლურჯა ცხენები“ შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. აგრედვე ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში.

გალაქტიონი ვიწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუკავებელ სულით ლიცენციისაკენ მიისწრაფვის, და აქ იმალება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები.

ჩვენ ამ წერილში ყოველივე პრეტენზიებს გვერდს უვლით და თამამად ვამბობთ, რომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში არ დავეთანახმოთ გალაქტიონს მაგრამ რამდენიმე ლექსით ჩვენ მას ვღებულობთ, როგორც პოეტს რასაკვირველია აქ ვერ შეეხებით ჩვენს შეხედულებას თანამედროვე პოეზიაზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გალაქტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი, მან იცის თავისი დანიშნულება. და ჩვენ ვფიქრობთ მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზსრომლის წიაღში პოეზიის აბსოლიტიური გამარჯვება აუცილებელი იქნება. წერილს აქ ვათავებთ და ჩვენ ვფიქრობთ ვისთვისაც საინტერესოა პოეტის პატივის ცემა, მან უეჭველია საღამოზე დასწრების სახით უნდა მოიხადოს თავისი მოვალეობა.

ტ. გრანელელი.

პროფესიონალური კავშირები და სოფლის მასწავლებლობა.

თუმცა მასწავლებლობამ კავშირები დაიარსეს, მაგრამ რას აკეთებს დღეს ჩვენი კავშირი? არაფერს მოიპოვა მასწავლებლობამ სიტყვის თავისუფლება? ვერა, ჩვენ იმის უფლებაც არა გვაქვს, რომ ჩვენი ნივთიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოვისდჯდოთ ჩვენს კავშირებს არავითარი უფლება არა აქვს, გარდა წყლის ნაყვისა, რომელსაც არავინ უშლის. დასამტკიცებლათ ამისა მოვიყვან ერთ მაგალითს: 12 მარტს შესდგა, შორაპნის მაზრის მასწავლებელთა კრება, მოწვეული იყო კავშირის გამგეობის მიერ და გაარჩია ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხები, სხვათა შორის შეეხო ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობას, ამ საკითხის გარჩევის დროს შემოდის მაზრაში ცნობილი „სიმონიკა გოცაძე“ და ს.-დ. პარტიის სახელით სიტყვას თხოულობს, რაზედაც მასწავლეელთა უმრავლესობა ღელდება და წინადადებას აძლევს გოცაძეს დარბაზი დასტოვოს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს და მოითხოვს კიდევ სიტყვას, მასწავლებლები კიდევ უარს ეუბნევიან და რამოდენიმე მათგანი, რომლებიც პარტიის მოეხებით მოკალათებული არიან თბილ ადგილებზე გოცაძის მხარეს იჭერენ, თუმცა მათ უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს კრებას, იმ საკითხის დაბოლოვების შემდეგ კრება იხურება და იკრიბება მეორე დღეს გაგრამ ამ დროს საჩქაროთ კარი გაიღო და ვიღაცას ხელმა (თავი არ გამოუჩენია) ააკრა კარებზე განცხადება შემდეგ შინაარსის:“ ს—დ. პარტიის ზესტაფონის კომიტეტი, სთხოვს პარტიულ ამხანაგებს კრების გახსნამდის გამოცხადდნენ ბიუროში—“ მე არ ვიცი რა უფლება ქონდა ს—დ—პარტიის ზესტაფონის კომიტეტს ჩარეოდა მასწავლებელთა შინაურ საქმეში მაგრამ ეს ასე მოხდა და შემდეგ 6 თუ 7-კაცი გავიდა დარბაზიდან, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდენ და მოითხოვეს სიტყვა ფრაქციის სახელით, რაზედაც ჩვენ ცივი უარი უთხარით, რადგან ჩვენ ფრაქციებათ არ დავყოფილვართ და ჩვენთან დარჩენ ბევრი ს-დემოკრატებიცათქო, მათ ისევ დასტოვეს კრება და ცალკე შეიკრიბნენ. როდესაც ჩვენი კრება შეეხო საკითხს საჩხერის უ დ. სასწავლებლის მასწავლებელთა შორის მომხთარ ინცინდენტის შესახებ, ამასათვის სიმართლის აღსადგენათ, ვსთხოვეთ სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს ბ-ნ მენაღარიშვილს მოხსენება გაეკეთებია, როგორც გაცნობილს ამ საკითხზე, მაგრამ მან უარი განაცხადა და დაგვჭირდა გაგზავნა რამოდენიმე დელეგაციის, უკანასკნელათ გაგზავნილ დელეგაციის თხოვნით, რომელიც შესდგებოდა ნოტარიუსის და ხარკის ამ კრების ინსპექტორისაგინ, შავიდა კრებაზე, თვალი გადაავლო ჩვენს კრებას და განაცხადა, რომ თუმცა თქვენი კრება მრავალ-რიცხოვანია, მაგრამ მე მოხსენებას ვერ გაუკეთებ ორ კრებას, რადგან იქ შეკრებალია 50 კაცი (თუმცა ჩვენი კრებიდან 10-იც არ გასულა). და მათაც ანგარიში უნდა გაუწევო, მან ანგარიში გაუწია მათ მიერ წარდგენილ სიას და არა თვალით წასულ ჩვენს კრებას და დარბაზი დასტოვა კრებამ მაინც გაარგია ეს საკითხი და გამოიტანა თავისი დადგენილება, რომელსაც ერობის გამგეობამ არავითარი ანგარიში არ გაუწია. ერთი მასწავლებელი, რომელმაც უკანონოთ დათხოვნის შესახებ განცხადება შემოიტანა, კრებამ თავის ადგილზე დასტოვა, სანამდის ამ საკითხს გაარჩევდა გამგეობასთან არსებული სასკოლო საბჭო და ბოლოს რას ვგვბულობთ?, ის მასწვლებელი მილიციელმა სკოლიდან გამოაგდო“-ს განა ასაღელვებელი არ არის ასეთი შემთხვევას მაშ რათ გვინდა ჩვენ პროფესიონალური კავშირები, თუ მას ანგარიშს არავინ გაუწევს? ეს უნდა ხოებოდეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში? სად არის აქ თავისუფლება? ნუ თუ თავისუფლება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი სიტყვები და ჩვენი დადგენილება პირში ჩაგვჩრიან? დროა ამის თვით მასწავლებლებმმა მიაქციონ ყურადღება და აღადგინონ დროზე თავისი უფლებები თორემ ბოლოს გვიან იქნება თითზე კბენანი.

ერთი მასწავლებელთაგანი.

*) ვათავსებთ ამ წერილს თუმცა უნდა ითქვას, რომ მასში აღწერილ ყრილობის შესახებ თვით მასწავლებელთა ცენტრსაც სხვა და სხვა ცნობები ააქვს. უკვე დადგენილია გაიგზავნოს ცენტრის წარმომადგენელი ამ საქმის გამოსარკვევად.

რედაქცია

ისმინეთ და გაიგონეთ!*)

„ახალი ნაკადი“ დაშრა „ნაკადი“ აღარ არსებობს აი სიტყვები, რომლებიც ელვასავით ედებოდა ჭიათურის საზოგადოებას მეთაური აღარა გყავსთ, მან თავი დაანება მუშაობას, მაშ სხვა ვინღა დაგრჩათ? აბა რა ხეირს შეეყრებოდა იგი პარტიას. რომ ყოფდა და არჩილის იდეიას ღალატობდა?“ რასაკვირველია, ამ გვარ აგიტაციას ავრცელებდენ. ისინი ხომ დაქნილები არიან ამ გვად ჭორიკანობაში და ადვილად ეხერხებათ სხვისი ტყუილ-უბრალოთ საცინლათ გდება და აბუჩათ აღება. საქმის განხილვაზე რომ მიდგება საქმე, ისინი პეტრეს მაგიერ პავლეს გიპასუხებენ. გვეუბნებიან „ახალი ნაკადი“ დაშრა. ერთი გკითხავთ, რა გამოგვატანეთ თქვენ არა მკითხე ბატონებო გამოყოფის დროს? მიეცით რამე თუ არა მუშებს თავისი შეძენილის ნაწილი მაინც, რომ თავის ორგანო გამოეშვათ? გაიხარეთ რომ დაშრა მუშათა მეტყველი „ახალი ნაკადი“, მაგრამ იცოდეთ მუშის ზურგი მაგარია, მუშას კიდევ შეუძლია თავის დაკორძებული ხელებით ახალი ააშენოს, მაგრამ თქვენ რაღას აპირებთ? თქვენ რაღას ელით? არჩილის იდეიას თუ ვინ უღალატა, ჯერ წაიკითხეთ „ძველი და ახალი“ და შემდეგ თქვენი პროგრამა და გაიგებთ, ვინ უღალატა. აწი მაინც გაჩუმდით და თქვენვე გრცხვენოდესთ თქვენი აგიტაციისა.

მ. ჭიათურელი.

*) ჭიათურის მოწაფე ფედერალისტების საყურადღებოთ.

დ. ხარაგოული.

ბაზალეთის ქვის-სატეხის მუშათა საყურადღებოდ.

ამხანაგებო! მთელი მსოფლიო გადატრიალდა; მუშებმა ყველა ქვეყნებში თავისი ბედგომარეობა გაიუმჯობესა, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებშიც თით ქოს მუშებმა თავის მდგომარეობა გაიუმჯობესეს და ცოტათი მაინც გაუთანასწორდენ სხვა ქვეყნის მუშებს და ჩვენ კი ისე, როგორც ამ თუთხმეტი წლის წინეთ, ისე ახლაც წაგვიღერია თავი ჩვენი ბატონის წინაშე და უსიტყვოთ ვასრულებთ, მის სურვილებს. ამხანაგებო! ხომ იცით, აგერ ორი წელია რაც ჩვენი სამუშევარი გაჩერებული ეყო და ჩვენც შინ ვიჯექით უმუშევრად. ჩვენი ხელის უფალი გვარწმუნებდა, რომ რკინის გზას არ აქვს ქვის მოთხოვნილება და ამიტომ მუშაობა შეჩერებულიაო და ჩვენც გვჯეროდა. ამავე დროს სხვა ქვის სატეხ მამულებში მუშაობა გაჩაღებული იყო. რა იყო ამის მიზეზი თურმე იცით? აი რა! თურმე ჩვენი მოწყალე (როგორც ამას ზოგიერთი ჩვენთაგანი იტყვის ხოლმე) ბატონი, ათას მანეთობით სთხოვდა რკინის გზას ქვის ფასად და რა გასაკვირველია, რომ რკინის გზა იმას არ აძლევდა სამუშევარს? თქვენ გახსოვთ ამხანაგებო, რომ ჩვენ 1906 და 1907 წლებში გვინდოდა დაგვეარსებინა მუშათა ამხანაგობა—არტელი და კრებებიც გავმართეთ ამ მიზნისათვის და ხომ გახსოვთ შედეგიც... მოგვისიეს ჩაფრები—სტრაჟნიკები და სულ ტყავი დაგვაძვრეს? მაგრამ ეს წასულია, ახალზე ვილაპარაკოთ: ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა; მოილაპარაკეს და უნდოდათ მუშაობა მოეწყოთ და თითონ აეღოთ რკინის გზიდან შეკვეთები.

შესაფერი თხოვნით მიმართეს რკინის გზის სამართველოს; მაგრამ სამუშევარი ისევე ძველ მოიჯარადრეს დაარჩინეს ბისმა ძველმა მეგობრებმა და როგორც გავიგეთ მგონი ძვირათაც დასჯდომია... ჩვენთვის სულერთია, ჩვენ სამუშევარი გვაინტერესებს და თანაც ხელფასი. ამხანაგებო! გახსოვდეთ, რომ ქვის სატეხის მეპატრონეები ჩვენ მხარეზეა, ისინი წინააღმდეგი არიან ძველი მოიჯარადრე მელქო კიკნაძისა ისინი გვეუბნებიან აჰა თქვენ და ეს მამული და ერთად დავიმუშაოთ და ჩამოვიშოროდ შუამავლები, რომ ზედმეტი გროშები ჩვენი ოფლით აღებული მას არ ჩაუვარდეს ხელში; მაგრამ ჩვენ დღემდე ვერ შეგვიგნია ამის მნიშვნელობა. ძველი მოიჯარადრე ძველებურად გვაზის კისერზე და სუქდება ჩვენი ოფლით; ძველებურადვე გვატყუებს ფასებში და გვეუბნება ჩემი, რა ბრალია თქვენმა ამორჩეულმა კაცმა ნაკლები ფასები გააცხადა და მეც იმ ფასებში ავიღე „ზაკაზიო“, ამხანაგებო! სტყუის ჩვენი ბატონი.. სამუშევარი კარგ ფასებშია აღებული, მაგრამ ჩვენ 550 მანეთის მეტს არ გვაძლევს საჟენზე და თითონ იდებს დანარჩენს ე. ი. 250 მან. ამხანაგებო! საჭიროა ამაზე მოლაპარაკება, საჭიროა ქვის მეპატრონეებმა ჩვენთან იქონიონ მჭიდრო კავშირი და მაშინ ჩვენ ველარავინ დაგვჯაბნის და ჩვენი ოფლით ველარ აიშენებენ სასახლეებს, როგორც აქნამდე. მაშ, ამხანაგებო, გამოვფხიზლდეთ და შევიგნოთ ჩვენი ავ-კარგი!

ქვის მთლელი.

ქ. ზესტაფონი

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ არის საზოგადო ნაკლოვანება და ძალიან ცოტა ექცევა ყურადღება. მათ ზედმეტი პიროვნება უნდა მიენიჭოს, მაგრამ მოღვაწე პირები ვერ აკმაყოფილებენ და საზოგადო საქმე კი ფერხდება. რა თქმა უნდა, რომ ამით ვერ მოიპოვებს ვინმე სახელს და შემჩერე ხალხს უზრუნველ ჭყოფს. ვის არ მოეხსენება, რომ აქ ე. წ. ზედა ხიდი აგერ 4-5 წელიწადია უარყოფითი გზას ადგია და მის მოგვარებას არა ეშველა-რა? მართალია, რომ სხვა თავსატეხი საქმეც ბევრია დღეს და ასეთები განონაკლისს შეადგენენ; მაგრამ ისეთი საზოგადოთ საჭირო ნივთი, როგორც ზემოთ აღნიშნულია, ყოვლათ შეუძლებელია, ყოვლათ შეუძლებელი დარჩეს უყურადღებოთ.—ვის არ ესაჭიროება აქ „აბანო“-ც და ნუ თუ ამის მოგვარება ძნელი საქმეა?! მაგრამ მასზე ჯერ არავითარი კითხვა არ წამოყენებულა. შეიძლება, რომ დასაფარავი ხარჯი არაა და მეთაურიც მას გაურბის?? თავი და თავი დაწყებაა, თორემ ბოლოს ყველაფერი მოგვარდება... იჭვს გარეშეა, რომ დღეს აქ აბანო საჭიროა და თუ ვინმე საჭიროთ არა სთვლის—ეს შეიძლება შეგვთარი აზრი იქნეს. ეხლა მივაქციოთ ცატათ თუ ბევრათ ყურადღება [illegible] რგისობასაც. წელს [illegible] ზამთარი გადატანა, [illegible] მოსადგენია მკითხველი საზოგადოებისათვის. ქუჩებში არ შეიძლებოდა მიმოსვლა, რასაკვირველია, თუ ნავები არ გექნებოდა და ისიც ჰაწა უსუსური სასწავლებლებში მოსარულე მოწაფეების!? მაგრამ, როგორც ხხვების, არც ამის კითხვა მოხდა ბადეში და თვითეული უიმედობის გზამ მიიღო. სისუფთავე ასევე იქნება და თუ მეტათ არ ავმაღლდებით, თქვენს მტერს! რაიცა შეეხება ზოგიერთ მოინტელიგენტო პირებს, მაგვარ მოღვაწეობას დიდ ფასს არა სდებს და უფრო სპეკულიაციას ემონება; მაგრამ ეს ხომ ყველასათვის მოუხდელი სენია?!? წარსულს წლებისავით აქეთ არ ყოფილა ბარხატიანი სახადი და, ამის გამო, მსხვერპლიც შედარებით ცოტა იყო. წამალ ექიმის სიძვირეზე, რა მეთქმის. დღითი დღე მომატება დაუვიწყარ ჩვეულებათ დასჩემდა და ვინ იცის სახამ დარჩება ასე?! მუშაობის ხანაა, მაგრამ მუშას „დიოგენის“ ფარნითაც ვერ მოიპოვებ და მერეთ კი მორიგებას, ალაჰი უწყის!...

„ისმაილის ნათლული“

ს. ხუნწი

(სენაკის მაზრა).

ეს სოფელი, რომელიც მდებარეობას სამეგრელოში, ითვლება სრულიად მივიწყებულად და გარიყულ ადგილთა სიაში.

ძველებურისამებრ, ამ ჟამად ნაკლები ყურადღება მაზე მიქცეული...

არ ვიცი რით აიხსნება!..

ყოვლად დაუშვებელია ეს მოვლენა მით უმეტეს ეხლა, როცა საქართველოს დაუდგა დიადი სანატრელი ხანა, ხანა მუშის მონობისგან განთავისუფლებისა, მათი ხელ-ფეხისგან ბორკილების აყრისა.

მცხოვრებლებს არ აქვთ საშვალება გაზეთების შემწეობით მაინც გაეცნონ საერთაშორის მოძრაობას ის ისევ იმ ბურუსშია გახვეული, რასაც წინეთ ადგილი ჰქონდა..

ამ გვარად მრავალ ჩამორჩენილ პროვინციამ და იქ მცხოვრებ გლეხობამ, რომელიც შეადგენს საფუძველს და მჩქეფ ნაკადს ყოველ გვარ საერთაშორისო მოძრაობისას, მუშა ხალხის გაბატონების საქმეებში, როგორ შესძლებს ამოუდგეს გვერდით ქალაქის შეგნებულ დაწინაურებულ პროლეტარიატს?!...

შეუგნობლობის ნაყოფი ამ სოფელში მრავალ რამ არის და სხვათა შორის აღსანიშნავია: არა სასურველ მოუმზადებელ და ძველი ჩინოვნიკური სულით გაჟღენთილ პირთა ერობაში ამორჩევა და, მეორე, „დეზერტირობა“ ახალ-გაზრდა საჯარის-კაცო პირთა.

(შემდეგი იქნება).

ხუნწელი.

ფედერალურ საგჯის პრეგა.

შაბათს აპრილის 17-ს ქალაქ ქუთაისში შესდგება კავშირის ფედერალური საბჭოს კრება. განსახილველია, მომენტი და ტაქტიკა. თითეული ორგანიზაცია მოვალეა განიხილოს ეს საკითხი და განსაზღვრული დავალებით გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი ყრილობაზე.

მთავარი გამგეობა

რედაქტორ-გამომცემელი

კოლეგია